



ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საბრენგულო



ბ ა ნ გ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 478
— — — — —

22 სექტემბერი
“— — —” 2023 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში შ.კ.ს. „ზევსი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავისი ველის”-ს” განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს N23.1289.1415 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში შ.კ.ს. „ზევსი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავისი ველის”-ს” განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული N01232063354-67 (N01232192861-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 23.1289.1415
30 / აგვისტო / 2023 წ.**

ქალაქ თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში, შპს „ზევსი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ **19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავისი ველის” განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 ივლისს N01232063354-67 (N01232192861-67) განცხადებით მიმართა ირაკლი ჩაჩვაძ (პ/ნ 53001012349) და მოითხოვა „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში, შპს „ზევსი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავისი ველის” განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავისში (საკადასტრო კოდები: N81.02.19.854; N81.02.19.852). მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი განაშენიანებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. საპროექტო ტერიტორიას შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით სატრანსპორტო წვდომა აქვს თბილისი-კოჯორის ქუჩასთან და აღნიშნული ქუჩით უგაგშირდება ქალაქს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სტ-1).

„ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში შ.პ.ს. „ზევსი”-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავისი ველი”-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების



შესახებ'' ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 29 სექტემბრის N01/1321 ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. აღნიშნულის შემდგომ, ცვლილებები განხორციელდა რამდენჯერმე. ბოლო კორექტირება განხორციელებულია „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევსი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივნისის N356 განკარგულებით.

ს/კ N81.02.19.852 (375 კვ.მ) - სექ. N24

ფუნქციური ზონა-სზ-1

კ-1=0,4 კ-2=0,6

მაქსიმალური სართულიანობა -2,5 სართ.

ს/კ N81.02.19.854 (375 კვ.მ) - სექ. N25

ფუნქციური ზონა-სზ-1

კ-1=0,4 კ-2=0,6

მაქსიმალურ სართულიანობა -2,5 სართ.

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი მიზნად ისახავს საპროექტო არეალში არსებული მხოლოდ 2 საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდები: N81.02.19.854; N81.02.19.852) გაერთიანებას ერთ ნაკვეთად, ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის NA1 (750 კვ.მ)

ფუნქციური ზონა - სზ-1

კ-1=0,4

$\zeta = 2 = 0.6$

მაქსიმალური სართულიანობა - 2,5 სართ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 ივლისის N0123209158 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავისში შ.პ.ს. „ზეგსი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქითმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ.“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01232063354-67 (N01232192861-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევსი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს“ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განვარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განვარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განვარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განვარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განვარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შერ

კახა კალაძე



ეალაპ თბილისის მუნიციპალიტეტის საქართველო
სამართლის იურიდიული პირი – ეალაპ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **0123248358**
თარიღი: **05/09/2023**

2023 წლის 7 აგვისტოს N 01232192861-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.19.852, 81.02.19.854) საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

განცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შეთანხმების წერილები (N 16-01232161063, 04.08.2023; MIA 3 23 02279508, 07.08.2023).

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიცირებული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



1. PROFESSIONAL	2. TECHNICAL
3. EDUCATIONAL	4. SCIENTIFIC
5. ARTISTIC	6. RELIGIOUS
7. SOCIAL	8. PHYSICAL
9. IDEAS	10. IDEAS


REVIEW ARTICLE



Bundesrepublik Deutschland

1:50:00
06/02/2017
06/02/2017

卷之三



urban consulting

480027.6443, 4613858.7439⁸

~~480055.6515, 4613857.117~~



613, 4613832.0223

ასტრონომი

~~814-672~~ 814-672
~~04.27~~ 04.27 ~~813-99~~

卷之三

卷之三

卷之三

卷之三

U.S. GOVERNMENT PRINTING OFFICE: 1902 10-1250

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

THE SOUTHERN HISTORICAL JOURNAL

卷之三

卷之三

卷之三